# ხარისხის მართვის სისტემა




1. **სტრატეგია და პრიორიტეტები** გაწერილია სკოლის ექვსწლიან და ერთწლიან სტრატეგიულ გეგმებში;
2. **სასკოლო გეგმაში** ასახულია სკოლის **მისიის** განხორციელების სკოლისეული ხედვა და განხორციელების მექანიზმები;
3. **მონიტორინგი** ხორციელდება სწავლისა და სწავლების, მომსახურების მიმართულებით: ( მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები: ადმინისტრაცია,

ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის გამგეები).

ა) **სწავლის მონიტორინგი** ითვალისწინებს ესგ და სასკოლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებას, ამ მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სასწავლო პროცესის მეთოდურად დაგეგმვა;
- მოსწავლეთა არასაპატიო გაცდენების პრევენცია;
- უფროსკლასელთა საშინაო დავალებების შესრულების სისტემატიურობის კონტროლი;
- დამატებითი გაკვეთილების ჩატარებისა და მოსწავლეთა დასწრების კონტრული;
- შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები და ანალიზი;
- პრიორიტეტული მიმართულებების  სასკოლო შეფასება ;
- სკოლის გარეთ ორგანიზებულ კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შედეგების (მოსწრების) ანალიზი.

ბ) **სწავლების მონიტორინგი** ითვალისწინებს მასწავლებელთა კარიერული და პროფესიული ზრდისათვის  ხელშეწყობას:
ამ მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- მასწავლებლის მიერ თავის საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება, ანალიზი და შეფასება;
- კათედრების აქტიური მონაწილეობა სასკოლო გეგმის შეფასებასა და შემუშავებაში;
- პედაგოგსა და გაკვეთილზე დაკვირვება;
- პედაგოგის წარმატებული გამოცდილების გაზიარება;
- მეთოდური სახელმძღვანელოებით და დამხმარე რესურსებით პედაგოგთა უზრუნველყოფა;
- სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ პროფესიული განვითარების პროგრამებში (სემინარები, კონფერენციები, ტრენინგები) პედაგოგთა მონაწილეობა.

გ) **მომსახურების მონიტორინგი** ითვალისწინებს  სასკოლო საზოგადოების პერიოდულ გამოკითხვას.

4. **შეფასება** ხორციელდება ორი მიმართულებით, შიდა და გარე შეფასება:

ა) შიდა შეფასება     - 1. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება, ანალიზი,  შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება ახალი სასკოლო გეგმისათვის. 2. სკოლის თვითშეფასება.

ბ)   გარე შეფასება – 1. სასკოლო საზოგადოების (მშობლები, მოსწავლეები, პედაგოგები) გამოკითხვა, შეჯამება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. 2. ავტორიზაცია